# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №06/89

ქ.რუსთავი 28 ივლისი 2011 წელი

ერთი მხრივ თვითმმართველი ქალაქი რუსთავი (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი საკრებულოს თავმჯდომარის კახა გურგენიძის სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „მაგთივინი" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ზაალ კიპაროიძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის მე–10[1] მუხლის მე–3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 7 ივნისის №1219 განკარგულების თანახმად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (გამარტივებული შესყიდვა) შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე". „კვირა", „თვე"-კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი"- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" - პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.6 „მხარე" - „შემსყიდველი" ან/და „მიმწოდებელი".

1.7 „საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 1 ცალი სკამის, 3 ცალი მაგიდისა და 1 ცალი ტუმბოს შეძენა. ხელშკერულებას თან ერთვის დანართი, რომელის წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 4 644 (ოთხი ათას ექვსასორმოცდაოთხი) ლარს, დ.ღ.გ.–ს გათვალისწინებით.

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს

## 4. ანგარიშსწორების ფორმები დავადები

4.1 „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 ანგარიშსწორება განხორციელედება ერთჯერადად, ანგარიშსწორება იწარმოებს მხარეთა მიერ „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტის, შესაბამისი საგადასახადო ანგარიშფაქტურისა და სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.

4.3 ანგარიშსწორების ვადა: 4.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 20 სამუშაო დღე.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

## 5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 „მიმწოდებლის“ მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად შესაბამის

5.2 მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის დღიდან

5.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერს თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან შ.პ.ს. „მაგთივინი“–ს ხელმძღვანელი.

5.4 მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს:

ა) საქონლის დასახელება;

ბ) საქონლის ღირებულება;

გ) საქონლის რაოდენობა.

## 6. საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი

6.1 საქონლის მიწოდების ადგილად განისაზღვრება ქ. რუსთავი.

6.2 საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2011 წლის 5 აგვისტოს ჩათვლით.

## 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 „შემსყიდველი“ უფლემაბოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს „მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ველდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) არ ჩაიბაროს რაოდენობრივად, ხარისხობრივად ან უფლებრივად ნაკლული საქონელი.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ მხრიდან ხელშეკრულების საგნით ნაკისრი, შესრულებული ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულების საგნით ნაკისრი, შესრულებული ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) სრულიად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

ბ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება განახორციელოს „შემსყიდველის“ მოთხოვნის შესაბამისად,

## 8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახური. (წარმოდგენილი მისი უფროსის სახით).

8.2 ინსპექტირების გამწევის ფუნქციები:

ა) „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარისხსა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

ბ) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

გ) „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი შესრულებული ვალდებულების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება „მიმწოდებლის“ მიერ საკუთარი ხარჯებით.

8.3 „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრათან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 9. პირგასამტეხლო ხელშერულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების **0,1%** -ის ოდენობით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების **1%**-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით „მიმწოდებლისათვის“ გადასახდელი თანხიდან.

9.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5 მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გაწეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი

შემსყიდველი

მიმწოდებელი

11.3 დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მეორე მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.4 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

## 12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების დასაწყისში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრამდე.

## რეკვიზიტები

| შემსყიდველი | მიმწოდებელი |
|---|---|
| თვითმმართველი ქალაქი რუსთავი<br>მის:რუსთავი, მ.კოსტავას გამზირი№20<br>საიდენტიფიკაციო კოდი №216433287<br>სს „ლიბერთი ბანკი"<br>ბ/კ № LBRTGE22<br>ა /ა № GE78LB0125148543037000 | შ.პ.ს. „მაგთივინი"<br>მის: ქ. თბილისი დავით აღმაშენებლის №119<br>საიდენტიფიკაციო კოდი №204878622<br>სს „ბაზის ბანკი"<br>ბ/კ №CBASGE22<br>ა\ ა№GE40BS0000000000636151 |
| თვითმმართველი ქალაქი რუსთავის<br>საკრებულოს თავმჯდომარე: | შ.პ.ს. „მაგთივინი"-ს დირექტორი |

კახა გურგენიძე

ზაალ კიპაროიძე

ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი პირი: ბესიკ თუთბერიძე

დანართი

| ტიპი | | რაოდენობა | ფასი | თანხა |
|---|---|---|---|---|
| 1,3 | სკამი 4 ადგილიანი | 1 | 1426 | 1426 |
| 1,4 | მაგიდა და ტუმბო | 1 | 520 | 520 |
| 1,8 | მაგიდა | 2 | 1349 | 2698 |

სულ: 4644